



ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ გამოაცხადა კორონავირუსის პანდემია. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, მთავრობის უწყებებთან ერთად საკოორდინაციო საბჭო ქვეყანაში არსებული ვითარების და გლობ-

ალური სიტუაციის გათვალისწინებით ინტენსიურად მუშაობს და, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რამდენიმე დღის წინ გამოცხადებული პანდემიისთვის მზაობის შესაბამისად, ახორციელებს საკუთარ სამოქმედო გეგმას.

მსოფლიოს მასშტაბით არსებული სტატისტიკის გათვალისწინებით, კოორდინირებული და დროულად მიღებული ზომებით, საქართველოში ვითარება ამ ეტაპზე სტაბილურია. თუმცა, გამოწვევა ძალიან დიდა და თითოეულმა მოქალაქემ უნდა გამოიჩინოს მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობა, როგორც საკუთარი თავის, ასევე - საზოგადოების წინაშე.

საქართველოს მთავრობა, განსაკუთრებით ჯანდაცვის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის, საგარეო, ეკონომიკის, განათლების, ფინანსთა, რეგიონული განვითარებისა თუ სხვა სამინისტროები გადავიდა მუშაობის 24-საათიან საგანგებო რეჟიმზე.

ამჟამად ქვეყანაში დაფიქსირებულია კორონავირუსით დაინფიცირებული 25 შემთხვევა, თითოეულ პაციენტს უტარდება სრულფასოვანი სამედიცინო დახმარება, ხოლო დაინფიცირებულ ადამიანებთან შემხებ-

ლობაში მყოფი მოქალაქეები გადაინაწილებიან სამინისტროს მიერ შემუშავებული პროტოკოლით გათვალისწინებულ პროცედურებს.

სამთავრობო უწყებებთან ერთად საკოორდინაციო საბჭოს საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში რეგულარულად გამოსცემს ახალ გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებს სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

მათ შორის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპრევენციო ზომა დახურულ სივრცეებში მოქალაქეთა ინტენსიური კონცენტრაციისგან თავის არიდება, ამიტომ:

1. საქართველოს მასშტაბით სასწავლო და საღამურდო დაწესებულებებში გამოცხადებული არდადეგები პირველ აპრილამდე გახანგრძლივდა.
2. ასევე, ერთი თვით, 13 აპრილამდე გადაკედა საჯარო დახურულ სამხედრო სამსახურში სავაჭარო გაცხადება.
3. სამინისტროებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების თანამშრომლების ნაწილი დროებით გადაინაწილებიან დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე. კერძოდ, ის თანამშრომლები, რომელთა საქმიანობა განსაკუთრებულად არ საჭიროებს სამუშაო ადგილზე ყოფნას, საკუთარი სახლიდან, დისტანციურად შეასრულებენ სამუშაოს. ასეთი რეკომენდაცია ეძლევათ კერძო დაწესებულებებსაც. თუმცა, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს უწყებების საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას და არ უნდა აისახოს თანამშრომელთა შრომით ანაზღაურებაზე.
4. პრობაციონერები 14 აპრილის ჩათვლით თავისუფლდებიან პრობაციის ბიუროებში გამოცხადებისა და რეჟიმის ვალდებულების შესრულებისგან. პრობაციის ოფიცერთან დაფიქსირების აუცილებლობა, სოციალურ მუშაკთან ან ფსიქოლო-

გთან ჩანიშნული სავალდებულო შეხვედრები ამ ეტაპზე გაუქმებულია. 14 აპრილის ჩათვლით, პრობაციის ბიუროში პრობაციონერების გამოუცხადებლობა საპატიოდ ჩაითვლება და მას არავითარი სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება.

5. პენიტენციურ დაწესებულებებში ორი კვირის ვადით ამოქმედდა განსაკუთრებული პირობები. ამ პერიოდში ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს შეუჩერდათ პატიმრობის კოდექსით განსაზღვრული საოჯახო, ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემნებით სარგებლობის, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების აკრედიტაციის, აგრეთვე, განსაკუთრებულ, პირად ვარემოებებთან დაკავშირებით პენიტენციური დაწესებულების დროებით დატოვების უფლება. ამასთან,



ა ლ ი ო ნ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .

ყ ო რ ე ლ კ ვ ი რ ე მ უ ლ ი ბ ა მ ო შ ვ ე ბ ა . № 11 (10347) 16 მ ა რ ტ ი, 2020 წ. შ ა ს ი 60 თ ი მ ო ტ რ ი .

სანძარი სოფელ ვაკიჯვარსა და გომეში



ალიონი. სარეაგირაციო, სოფელ ვაკიჯვარში ტყის ქარსაფარ ზოლს ცეცხლი გაუჩნდა. სანძარი შემდეგ 10 ჰექტარ ფართობზე გავრცელდა. მობილიზებული იყო სახანძრო-სამაშველო ბრიგადები. „გურიაში, ოზურგეთის სოფელ ვაკიჯვარში სანძარია. იწყვის ქარსაცავი ზოლი დაახლოებით 10 ჰექტარზე. სიახლოვეს არის დასახლებული პუნქტი. შესაბამის სამსახურებთან ერთად, მე და ნინო წილოსანი ჩართულები ვართ სტიქიის წინააღმდეგ კოორდინაციაში. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა დროულად მოხდეს ხანძრის ლიკვიდაცია. ადვილზე მუშაობენ სახანძრო სამაშველო ჯგუფები და



ნაგომრიდან წამოღებული ინფორმაციები და იმედიაანი პერსპექტივები

თემურ მარგანიშვილი

ნაგომარი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე სუფსის მარცხენა სანაპიროზე გაშენებული, იშვიათი რელიეფის მქონე სოფელია, რომლის მუდგულს 230 ჰექტარი „წყაფისშტოს“ ტყე წარმოადგენს, საცხოვრისები, თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთებით კი, ამ ტყის გარშემოა განლაგებული. ბუნებრივი რესურსები, ლანდშაფტი და ადგილობრივი რესურსები უნდა ყოფილიყო იმისა, რომ გურიელებმა ერთ-ერთი საზაფხულო რეზიდენცია სწორედ აქ მოიწყვეს, მეტიც, თავის დროზე სავაჭრო ცენტრად აქციეს აქაურობა. ნაგომრის ბაზრობაზე, თურმე მილეისის ხალხი ჩამოდიოდა სავაჭროდ. ნაგომარი ქართული კინემატოგრაფის საყვარელი ადგილიცაა, აქ გადაღებულია სამი ქართული ფილმი „პალიასტომის ტბა“, „ჭრიჭინა“ და „შეხვედრა წარსულთან“.

ნაგომრის ტერიტორიულ ერთეულში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის **მიხეილ ცქტიშვილის** თქმით, ასეთი ისტორიისა და კულტურის მქონე დასახლებაშიც მიგრაციამ იჩინა თავი და სოფელს დაცარიელება ემუქრება:

„სამწუხაროდ, ასეთი ისტორიისა და კულტურის სოფელში კი, მიგრაციამ იძალა.



როგორ გითხრათ, მიგრაცია იმდენად თვალშისაცემია, იმდენი ადამიანი აიბარგა სოფლიდან, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, რომც გინდოდეს, სოფელში პატარა ფეხბურთის გუნდს ვერ შეაკოწიწებ. 500 კომლიდან დღეს მხოლოდ 380 კომლია მოქმედი, მოსახლეობის რაოდენობა კი 1127 კაცს შეადგენს. ამჟამად შეინიშნება სოფლის დაცარიელების ტენდენცია.“

როგორც მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებში, ნაგომარშიც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასა და მოსახლეობის სოციალური გასაჭირიდან

ამოყვანას. მართალია, შარშანწინ რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა – დაიგო ნაგომარი-ჟანაურას 2 კმ და ნაგომარი-შუა ისნარის 1 კმ სიგრძის გზები, შარშანრთულ მონაკვეთებზე, მოსახლეობის ჩართულობით, რკინაბეტონის საფარიანი გზებიც გაკეთდა, მაგრამ ეს რომ საკმარისი არაა, სოფლის ვიზუალიზაციას კარგად ჩანს.

როგორც მერის წარმომადგენელი მიხეილ ცქტიშვილი, ისე სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი ჯემალ თავართქილაძე უპირველესად მიიჩნევენ სას-

მელი წყლით სოფლის უზრუნველყოფას და სწორედ შიდა გზებს.

ჯემალ თავართქილაძე გულისტკივილით ამბობს, რომ როგორც სოფლის დეპუტატმა, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ბევრი ვერაფერი გააკეთა სოფლისთვის ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, სოციალურში კი აქვს გარკვეული შედეგები:

„რა თქმა უნდა, უპირველესად, მოსახლეობის სასმელი წყლით ცენტრალიზებულად უზრუნველყოფა აუცილებელი,



გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავით გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- განსვენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით - 14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუცილობენ ინფორმაციის ახლებად კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურების ტარიფები

რედაქციის
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის
ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებსიკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, გ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩმაბათი აციონზე

«ალიონი»

საქართველოს მთავრობის განცხადება

განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში გათავისუფლებისთვის მომზადების თავის-უფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს შეუჩერდათ დაწესებულების გარეთ, სწავლის ან/და მუშაობის შემთხვევაში და საქართველოს კანონ-მდებლობით დადგენილ დასვენებისა და უქმ დღეებში გასვლის უფლება. ასევე, განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებაში ახალშესული ბრალდებულები/მსჯავრდებულები განთავსდნენ ულნი იქნებიან სხვა ბრალდებულებისგან/მსჯავრდებულებისგან განცალკევებით.

6. დროებით შეწყდეს საქართველოში საგანმანათლებლო, სპორტული თუ სხვა სახის ღონისძიებების ჩატარება, რომლებიც დაკავშირებულია ხალხმრავალ შეკრებასთან.

- ამ დროისთვის უკვე შეწყდა: საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლესი, ასევე ასაკობრივი პირველობები, საქართველოს რაგბის ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატი, ხელბურთელთა ჩემპიონატი, ასაკობრივი საკალათბურთო პირველობების გათამაშება და ა.შ.;
- თბილისის ოლიმპიურ სასახლეში, 27-29 მარტს გასამართი მიუდოს გრან პრი, მიუდოს საერთაშორისო ფედერაციის (IJF) გადაწყვეტილებით, ოფიციალურად გაუქმდა;
- ხოლო 14 მარტს, მიხეილ მესხის სტადიონზე დგეგმილი რაგბი მოუქმდებოდა საქართველოს მო-

ვერობის ეგიდით გასამართი საქართველო-რუსეთის მატჩი მაყურებლის გარეშე ჩატარდა. საქართველოს მთავრობის უწყებამ თაშორისი საკორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს საზღვრის როგორც საპაერო, ისე სახმელეთო გზით, კვეთისას ფართოდება შეზღუდვები როგორც საქართველოს, ისე, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის: **ჩინეთს, სამხრეთ კორეას, ირანს და იტალიას** ემატება სხვა ქვეყნებიც და ახლა უკვე **გერმანიიდან, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან და ავსტრიიდან** საქართველოში ჩამოსული პირები ვალდებული არიან:

1. **წარმოადგინონ კორონავირუსზე (COVID-19) შემოწმების შესაბამისი ცნობა (სპეციფიკური ლაბორატორიული პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია (PCR) კვლევა), რომელიც გაცემული უნდა იყოს გამოგზავრების ქვეყნის შესაბამისი ლაბორატორიის მიერ, ხოლო ტრანზიტულად მგზავრების შემთხვევაში - სატრანზიტო ქვეყნის შესაბამისი ლაბორატორიის მიერ.**
2. **PCR ცნობის წარმოდგენილობის შემთხვევაში, მათ უნდა გაიარონ შესაბამისი ეპიდემიოლოგიური შემოწმება და შემდეგ, სავალდებულო 14 დღიანი საკარანტინო პროცედურა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დადგენილი წესით.**

ქალაქებს, გადაუდებელი აუცილებლობის გარდა, არ გაეშვებოთ საზღვარგარეთ!

კორონავირუსთან ეფექტიანი ბრძოლა არა მხოლოდ მთავრობის, არამედ საზოგადოებისგანაც მაქსიმალურ სიფრთხილეს და ყურადღებას მოითხოვს. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია თვითიზოლაციის წესების ზედმიწევნით დაცვა.

კატეგორიულად მოგიწოდებთ, გამოიჩინოთ მოქალაქეობრივი თვითშეგნება და არ დაარღვიოთ თვითიზოლაციის წესები!

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ჯანდაცვის სამინისტროსთან სრული კოორდინაციით უზრუნველყოფს თვითიზოლაციის წესების დაცვის მკაცრ კონტროლს.

საზგასმით აღვნიშნავთ, რომ მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნვასთან ერთად, საქართველოს მთავრობა ინტენსიურ ნაბიჯებს დგამს, რათა ეფექტურად უპასუხოს იმ გამოწვევებს, რომელიც ქვეყნის ეკონომიკას, შესაძლოა, ვირუსის გავრცელებით მიადგეს.

უკვე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ბიზნესთან, მათ შორის, საბანკო და ტურიზმის სექტორთან და კერძო სექტორის სხვა სფეროების წარმომადგენლებთან.

მთავრობის ეკონომიკური გუნდი 2020 წლის 12 მარტს, დღის ბოლომდე შემუშავებული გეგმის სახით წარმოადგენს ეკონომიკური სტიმულირების კონკრეტულ გეგმას, რათა მაქსიმალურად შევამციროთ მსოფლიოში პანდემიური ვითარებით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.

აქვე საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და ე.წ. გადასასვლელი პუნქტების ჩაკეტვის გამო, მთავრობა მოკლებულია ადგილზე მცხოვრები მოსახლეობისთვის ჯანდაცვის სერვისების მიწოდების შესაძლებლობას, რაც ამ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

შესაბამისად, მთავრობა ყველა შესაძლო საშუალებით, მათ შორის საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით, ინტენსიურად მუშაობს პრევენციული ზომების გასატარებლად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირებისთვის და საჭიროების შემთხვევაში, მათთვის საჭირო დიაგნოსტიკის თუ მკურნალობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია მოქალაქეებმა გაითვალისწინონ, რომ ქვეყანაში კორონავირუსთან დაკავშირებით არსებულ ვითარებასთან მიმართებაში უნდა ენდონ მხოლოდ და მხოლოდ გადამოწმებულ და ოფიციალურად დადასტურებულ ინფორმაციას, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ მათ შორის, მთავრობის მიერ სპეციალურად შექმნილ ვებ-გვერდზე - **StopCoV.ge**

ხანძარი სოფელ ვაკიჯვარსა და გომში



მუშაობდნენ სახანძრო ბრიგადები. ამჟამად ტყეში 120 მეხანძრე-მაშველია შესული. დილიდან ხანძრის ქრობის საპროექტში შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერნებიც ჩაერთო. 2 ვეტერნები მუშაობს - გვიტხრა 9 მარტს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ვაკიჯვარის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენელმა ვიორგი მდინარაძემ.

მომდევნო დღეს სოფელ გომის ტყეს გაუჩნდა ცეცხლი. ეს ბოლო პერიოდში მე-4 შემთხვევა იყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. მანამდე ცეცხლი სოფელ ჭანეთისა და ნატანებშიც იყო.

სახანძრო-სამაშველო სამუშაოებს სოფელ გომში რთული რელიეფი აფერხებდა. იწვოდა რამდენიმე ჰექტარი ტყე-ბუჩქნარი.

სხვადასხვა კერებზე რამდენიმე დღე უწყვეტ რეჟიმში მუშაობდნენ მეხანძრე-მაშველები. ადგილზე იმყოფებოდნენ რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

მომდევნო დღეებში ქანძრის ქრობის საპროექტში ვეტერნები ჩაერთო. უწყვეტ რეჟიმში მუშაობდა 2 ვეტერანი.

ამჟამად ხანძრები ლიკვიდირებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ შექმნილი იყო საპროექტო შტაბი, რომელსაც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თემურ მღებრიშვილი ხელმძღვანელობდა. ადგილზე, ასევე იმყოფებოდნენ ამავე სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან ღირსიაშვილი**, გურიის რწმუნებულის პირველი მოადგილე **აკაკი შენგელია**, საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია**, თავმჯდომარის მოადგილე **ვიორგი ღურჯუმიძე** და ოზურგეთის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე**.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც ცეცხლის წაქვიდებით ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

ოზურგეთში „ბიბლუსის“ მაღაზიას ცეცხლი გაუჩნდა



რესტორან არბოს გვერდით 2 ბუნკერი დაიწვა

ალიონი. გასულ პარასკევს დაღობი ქ. ოზურგეთში, ვიორგი ჭანტურიას ქუჩაზე მდებარე პარკში „ბიბლუსის“ შენობას სავარაუდოდ ცეცხლი წაუკიდეს. დაშლულია კონსტრუქციის მთლიანი შუშა და დამწვარია შენობის უკანა მხარე. მომხდარზე პარასკევს დილით შსს-მ გამოძიება დაიწყო. ხანძრის ადგილას პოლიცია და ექსპერტ-კრიმინალისტიები იმყოფებოდნენ.

ალიონი. გასულ კვირაში ქ. ოზურგეთში, რესტორან „არბოს“ გვერდით 2 ნავის ბუნკერი დაიწვა. გასულ სამშაბათს, ცეცხლი პლასმასის ნავის ბუნკერს გაუჩნდა, სავარაუდოდ სივარტის ნამწვით. „სერვისცენტრმა“ მეორე დღესვე დადგინდა ნავის ახალი ბუნკერი, მაგრამ მასაც ცეცხლი გაუჩნდა. სახანძრო-სამაშველო სამსახური რომ შემთხვევის ადგილას მივიდა, ბუნკერი თითქმის დამწვარი იყო. საბუნკერიოდ, მძღობელმა დროულად მოასწრეს ნავის ბუნკერის გვერდით მდგომის მსუბუქი ავტომობილების გაყვანა.

ნაგომრიდან წამოღებული ინფორმაციები და იმედიაანი პერსპექტივები



მით უფრო, რომ ამ ბოლო დროს, ზაფხულობით ჭებში წყალი შრება. ასევე აუცილებლობას წარმოადგენს გზების მოწესრიგება. გული მწყდება, რომ ჩემი დეპუტატობის დროს, სოფელში დღემდე ბევრი ვერაფერი გაკეთდა ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, სოციალური კუთხით კი არის გარკვეული შედეგები.

სოციალურ სფეროზე მერის წარმომადგენელიც გვესაუბრა. ცქტიშივილმა გვითხრა, რომ ერთობლივად, საფუძვლიანად იკვლევენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობას, შედეგებს და შუამდგომლობას აგზავნიან სოციალურში. ამ წუთისთვის დადებითი პასუხია მოსული 4 ოჯახისათვის სამშენებლო მასალებით დახმარების თაობაზე.

მერის წარმომადგენლის კაბინეტს იშვიათად თუ ნახავთ ცარიელს. ჩვენი იქ ყოფნის დროს თავიანთი პრობლემებით მოვიდნენ ზვიად ვაშაყმაძე, ხუთი შვილის მამა და ჯუმბერ გიგაური, ვისაც სახლი ორი წლის წინ გადაუხურეს, მაგრამ ახლა კედლები აქვს ავარიულ მდგომარეობაში.

სოფლის თავკაცებმა გვითხრეს, რომ ამასწინათ მრავალშვილიან ზვიად ვაშაყმაძის ოჯახს, ასევე გურამ სარიშვილისა და თამაზ ნოზაძის ოჯახებს საკვები პროდუქტებით დაეხმარა საქართველოს პარლამენტის წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი ნინო წილოსანი.

ნაგომრიელი ნოდარ გოგუაძის თქმით, ადგილობრივი ხელისუფლებიდან ნაგომარს რატომღაც არ ექცეოდა სათანადო ყურადღება:

„ნაგომარი რატომღაც იმ სოფლების რიცხვში აღმოჩნდა, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება დიდად არ ყვლობდა. ეს ტენდენცია მეტ-ნაკლებად დღესაც შეინიშნება. შემძლია ვითხრა, რომ 4 წლის დანაპირები დღესაც დანაპირებად რჩება.“

ხელმძღვანელობს. მალე დამთავრდება მეორე ფაბრიკის მშენებლობაც.

გამოჩნდა ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურის – ლურჯი მოცვის პირველი პლანტაციები, წარმოშობით ნაგომრიელმა, ამჟამად თბილისში მცხოვრებმა ბიზნესმენმა ბესიკ წიქორიძემ ითავა ეს საშური საქმე. როგორც აქ მუშავე ლერი კვასტიანმა გვითხრა, შარშან 8 ტონამდე მოსავალი მიიღეს წლეულს ალბათ 13 ტონაზე გავლენ. არის პლანტაციების გაფართოების პერსპექტივა.

მოცვის პლანტაციიდან გამობრუნებულმა გზად შევიარეთ სოციალურად დაუცველი მოსე გაგუას ოჯახში. გაგუები ყოფილი სეზონური ბაღის შენობაში ცხოვრობენ. ოჯახის თავკაცი 8 წელია შრომის უუნაროა, პარალიზებულია და როგორც მისმა მეუღლემ თინა გაგუამ გვითხრა, საჭიროებს მუდმივ და გადაუდებელ მკურნალობას. ფსიქიკური პრობლემები აქვს შვილსაც. ფლობენ 1,2 ჰა მიწის ნაკვეთს, რომლის თითქმის ნახევარს (გაველურებულ ჩაის პლანტაციას) ვერ ამუშავენ და ვერ უვლიან. როგორც სოციალურად დაუცველებს, ოთხი წლის წინათ გადაეცათ თუნუქის სახურავი და შესაბამისი მასალა საცხოვრისის გადასახურავად, შარშან გადაუხურავეთ. თუ როგორ – ეს ფოტომასალიდან ჩანს. ჩვენი აზრით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა გააკონტროლოს, იყენებენ თუ არა ასეთი ოჯახები მიზნობრივად დახმარების სახით მიცემულ სამშენებლო მასალებს და თუ იყენებენ, რამდენად ხარისხიანად სრულდება ეს სამუშაოები. ამ კონკრეტულ შემთხვევის დადებითად შეფასება ნამდვილად ძნელია.

სოფელში მოქმედებს ორი ტაძარი: წმინდა მარინეს სახელობისა, რომელიც მამია გურიელმა ააშენებინა თავისი დედის საპატივცემულოდ და მერე 19-97 წელს ჩაუტარდა რესტავრაცია; წმინდა ეკატერინეს სახელობის დედათა მონასტერი.

უძრობის გამო ვერ მოინახულეთ როინ დოლიძის საკარმიდამო ნაკვეთი, რომლის შესახებ რამდენიმე წლის წინ ვწერდით. ბატონი როინი მაშინ ბათუმში ცხოვრობდა და იქედან უვლიდა თავის ნაკვეთში გაშენებულ ვაზის სხედასხვა ჯიშს. როგორც გვითხრეს, როინი დოლიძე ადგილის დედას დაუბრუნდა და ავ თვალს არ ეჩვენება, ისეთი კარმიდამო აქვს.

ნაგომარს მამულიშვილები არც ერთ დროში არ ჰკლებია. სოფლის თავკაცები ერთ-ერთი ასეთი, ყველაზე ახალგაზრდა პიროვნების ალექსანდრე



თავართქილადის შესახებ გვესაუბრენ: „ალექსანდრე თავართქილაძე გეცოდინებათ, ნაგომრიელია, აქ დაიბადა, აქ დამთავრა საშუალო სკოლა, 28 წლის ასაკში გახდა პროფესორი ონკოლოგიის დარგში. როგორც ამბობენ, მსოფლიოს საუკეთესო ათეულშია ამ დარგში. ლექციებს კითხულობს საფრანგეთში. პატრიარქს მკურნალობდა გარკვეული დროის განმავლობაში.“ მოკლედ, „ჭრიჭინას“ პერსონაჟის,

არქიტექტორ შოთა ნამორაძისაგან განსხვავებით არანაირი პროექტი არ ჩაგვტანია ნაგომარში, წამოღებით კი ეს ინფორმაციები წამოვიღეთ და გაგაცანით ჩვენი გაზეთის საშუალებით. ვიმედოვნებთ, ნაგომარი მომავალშიც იტყვის თავის სფერო სიტყვას, როგორც უძველესი სავაჭრო ცენტრის – ბაზრობის განახლებით, ისე თანამედროვე კულტურული და ტექნოლოგიური სიანხლების დაუფლებით.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, კორონა ვირუსთან დაკავშირებით, გურიის სამხრეთ მუნიციპალიტეტში პრევენციისთვის შესაბამისი ღონისძიებები გატარდება. დროებით შეიზღუდება მერიებსა და საკრებულოებში, თემურ სავარო ღონისძიებების ორგანიზება, ასევე, საკრებულოებში დაგეგმილი ბიუროების და სხვა სხვების ჩატარება.

მუდმივ რეჟიმში გაგრძელდება რეგონში ინფრასტრუქტურული სამუშაოების შესრულება, მოსახლეობისთვის სოციალური და ვანდაცვის კუთხით, მომსახურების გაწევა.

რწმუნებულის ადმინისტრაცია და მუნიციპალიტეტები კორონავირუსის პრევენციის გამო, მუშაობის ელექტრონულ, საგანგებო ფორმაზე გადავიდნენ. სავარო მოხელეებს, ვისი ყოფნაც ამ ეტაპზე არ წარმოადგენს აუცილებლობას, მუდმივ კონტაქტი ექნებათ სამსახურის უფროსებთან და ელექტრონული საქმის წარმოების მეშვეობით დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, სახლიდან გაუსვლელად შეძლებენ. ეს არ ეხება პოლიტიკურ თანამდებობის პირებს.

პრევენციის მიზნით, მოუწოდებთ მოქალაქეებს განსაკუთრებული აუცილებლობის გარდა, თავი შეიკავონ ადმინისტრაციებში მისვლისგან. მათ შეუძლიათ განცხადებები და მათთვის საინტერესო საკითხები ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გამოგზავნონ ადგილობრივი მისამართებზე

გურიის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია:
ცხელი ხაზი: (0496)27 58 81; 555 10 11 35;
ელ ფოსტა: info@guria.gov.ge
Fb: https://www.facebook.com/GuriisMkhare/?ref=bookmarks

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია - საკრებულო:
ცხელი ხაზი: მერია 599 06 82 00; საკრებულო 599 98 39 00; 599 00 89 59;

ელ ფოსტა: ozurgeti.sakrebulo@gmail.com; info@oz.gov.ge; meria-ozurgeti2018@gmail.com;
Fb: https://www.facebook.com/sakrebulo/?ref=SEARCH_BOX
Fb: https://www.facebook.com/ozurgeti.mun.gov.ge/

კორონავირუსთან დაკავშირებით სოციალურად შექმნილია ვებ გვერდი www.stopcov.ge სადაც შესაძლებელია რეკომენდაციების, სიახლეების, ხშირად დასმული კითხვების ნახვა. რეკომენდაციები განთავსებულია ასევე, ვანდაცვის სამინისტროსა და დაჯავბათა კონტროლის ვებ გვერდებსა და facebook გვერდებზეც.

იყიდება:

- ანანუპულში, იმედოვნების ქუჩაზე იყიდება სახლი საკარმიდამო მიწის ნაკვეთით, ფასი – 25 ათასი ლოლარი;
- ურბეში 500კვ მ მიწის ნაკვეთი, 1 კვ-ს ფასი – 120 ლოლარი;
- ურბეში 500კვ მ მიწის ნაკვეთი, 1 კვ-ს ფასი – 35 ლოლარი;
- ოზურგეთი-ძობულეთის ტრასაზე, ანანუპულის გადასახვევიდან 500 მმტრში 9100 კვ მიწის ნაკვეთი, 1 კვ მ-ს ფასი – 20 ლოლარი.
- სოფელ მაკვანეთის ცენტრამდე, ტრასაზე ორსართულიანი სახლი 5 000 კვ მ საკარმიდამო ნაკვეთით. ფასი – 9 000 ლოლარი.

იკითხეთ შრომის ბირჟაზე, რკინიგზის სადგური, I სართული, ტელეფონი 599 58 75 32.

ოჯახი, რომელშიც გაზრდაზე მეტი ყურადღება აღზრდას ექცევა



ალიონი. ახალგაზრდები, თუ ოჯახის შექმნას აპირებთ (შეუქმნელობა არ ეგების) ისეთი უნდა შექმნათ, როგორც ღია გიორგადისა და ვლადიმერ ბაველიძის ოჯახია. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვში მცხოვრები, სიცოცხლით, სიყვარულითა და ბედნიერებით სავსე ეს ცოლ-ქმარი ოთხ ბიჭსა და ერთ გოგონას უზრდის ქვეყანას. სოციალურად დაუცველი ოჯახის მეტი რა გვინახავს, მაგრამ ასეთი თბილი,

მოწესრიგებული, სუფთა, გულგრილი და სტუმართმოყვარე, ალბათ, ბევრი არ არის მთელ ქვეყანაში. რაზეა საუბარი, როცა ორი წლის ბავშვის ღარიბ ლექსიკაში მოწიწებული ადგილი უჭირავს სიტყვას „მობრძანდი“, ხოლო 11 წლის ბიჭი ისე შემოგვებება, ისე შეგაზუჭუჭებს, რომ რაც უნდა მოუცლელი იყო, უარს ვერ ეტყვი შეპატივებაზე! ასეა ჩანს, ოჯახში გაზრდაზე მეტი ყურადღება აღზრდას ექცევა. ჰოდა, გაიცანით

ლიასა და ვლადიმერის ქართულ ტრადიციებზე შესანიშნავად აღზრდილი შვილები: გუჯა – 11 წლის, ლუკა – 8 წლის, ნათია – 6 წლის, იაკობი – 4 წლის და ნაბოლარა ვიორგი – 2 წლის.

ვინმე არ გაბრიყვდეს და ქალბატონი ლიას ანკეცვაში სიტყვა „უშუშევი“ არ ჩაწეროს, მრავალშვილიანი დედების დაუბრუნებელსა და ამოგადეთ ეს გრაფა. სად სცალია მრავალშვილიან დედას სხვაგან საშუალოდ, ან რას გააკეთებს იმაზე უკეთესს, ვიდრე ასეთი შვილების აღზრდა. ვლადიმერი, კი, ბატონო, დროდრო უშუშევიარია, მაგრამ თუ რაიმე გამოუჩნდა, შანსს ხელიდან არ უშვებს და ცდილობს, რაიმე შემატოს იმ სოციალურ დახმარებას, რომელსაც ოჯახი იღებს.

– კიდევ ერთიც, რითაც ეს ოჯახი გამოირჩევა სხვა სოციალურად დაუცველი ოჯახებისაგან: აქ არაა არც ვუწუნებს – არც მშობლები, არც შვილები, – სიტყვა შემოგვაშვებდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა სოფელ ბახვის ტერიტორიულ ერთეულში **დავით ცქვიტინიძემ**, ვისთან ერთადაც ვიმყოფებოდი ბაველიძეებში.

მამის მოსვლამდე, უფროსმა ვაჟმა გუჯამ მასპინძლობაც შესანიშნავად მოახერხა და თავისი მიზნების გაცნობაც:

„კარგად ვსწავლობ, ფეხბურთზეც დავედივარ, მაგრამ ჭიდაობაზეც ვაპირებ მისვლას გურამ მაჭარაშვილთან, მინდა ჩემპიონი გამოვიდე, ისეთი, მანუარ კვიციანი რომ იყო.“

მანვე გვითხრა, რომ ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე მათი ოჯახის მეგობარია:

„ბატონი არჩილი ჩვენი ოჯახის და პირადად ჩემი მეგობარია. ხშირად გვსტუმრობს და გვეხმარება ხოლმე. ჩემი მიზნებიც იცის და მოსწონს, იმედოვნებს, რომ მივალწევ საწადელს.“

აქვე ერთი მეტად სასიხარულო ინფორმაცია გვამცნო სოფლის თავკაცმა დავით ცქვიტინიძემ:

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია და პირადად მერი კონსტანტინე შარაშენიძე მზად არიან ბაველიძეებს, თავიანთი საცხოვრისიდან დაახლოებით 300 მეტრში, 10 000 ლარად შეუძინონ ორსართულიანი სახლი საკარმიდამო ნაკვეთით. ეს საქმე შეიძლება თქვენი ამ წერილის გამოქვეყნებამდეც მოთავსდეს“, – გვითხრა ცქვიტინიძემ

ლია და ვლადიმერი კი შეგვპირდნენ, რომ ახალმოსახლეობაზე აუცილებლად მივკვიპატიყებენ.



ახალი დეტალები გურულ მოჯირითეთა ისტორიიდან ღვთის მოშიში მოჯირითე



ბატონი რინარდ ჯორჯიანი დამატებითი მასალების მოსაძიებლად და შთამომავლობის გასაცნობად 2000 წლის სექტემბერში გურუას სტუმრობდა. მისმა სტუმრობამ ბევრი გურული მოჯირის ისტორიას მოჰფინა ნათელი. მათ შორის არის ჯიმშეთ გრიგოლის ძე ლომაძე. ის რომ მოჯირითე იყო, მხოლოდ მისმა ოჯახის წევრებმა იცოდნენ. მისი ოჯახის წევრების ცნობით, ჯიმშეთ ლომაძე დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათში. მშობლები ადრე გარდაიცვალა. 17-18 წლის იქნებოდა, როცა საცხოვრებლად გადმოვიდა ოზურგეთში, მერამ კოსტავას 85-ში (ყოფილი ლენინის ქუჩა). მისი დაბადების თარიღი არ იცინა. ჰყავდა მეუღლე და რვა შვილი. ორჯერ ყოფილა ნამყოფი ამერიკაში. ამერიკიდან ჩამოტანილი ნივთები, წერილები, სურათები განადგურდა. ოჯახს შემორჩენილი აქვს მხოლოდ ერთი ფოტო, რომელზეც აღბეჭდილია ჯიმშეთი მეუღლესთან

ერთად.

1998 წელს თებერვალში რინარდ ჯორჯიანმა გაზეთ „თბილისის“ რედაქციას გამოუგზავნა მოჯირითეთა ერთი ჯგუფის სურათი, სწორედ ამ სურათზე იყო აღბეჭდილი ჯიმშეთ ლომაძის სახე. მამის ლომაძეების ოჯახმა ვერ შეძლო გამოხმაურებოდა ამ გაზეთს, რინარდ ჯორჯიანის ოზურგეთში სტუმრობის შესახებ კი გვიან გაიგეს. ჩვენ აღნიშნული გაზეთი და ჯიმშეთ ლომაძის ფოტო გადავუგზავნეთ ბატონ რინარდს. პასუხი მივიღეთ: „ეს არის ძალიან სასარგებლო ინფორმაცია ჩემთვის, ჩვენ უბრალოდ ვიცოდით სახელი ჯიმშეთ ლომაძე და არ ვიცოდით, როგორ გამოიყურებოდა ის. ახლა თქვენ, ჯიმშეთ ლომაძის რძლისა და შვილიშვილის დახმარებით შეგვიძლია, ამოვიცნოთ ის სხვა სურათებში. აქ იყვნენ კიდევ ორნი – მარკოზი და ნოე ლომაძეები. მე მაინტერესებს ყოველგვარი ინფორმაცია მათ შე-

სახებ.“ მართალია, მარკოზ და ნოე ლომაძეების შესახებ ვერაფერი ვიცი, მაგრამ მივაკვლიე საინტერესო მასალებს თვით ჯიმშეთის შესახებ. ეს უბაღლო მოჯირითე დიდი ღვთის მოშიში კაცი ყოფილა აი რას წერდა გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 1897 წლის 27 ივნისის (91) ნომერში სათაურით „სოფელი მამათი (ოზურგეთის მაზრა) შეწირულობა“:

„ჩვენ მივიღეთ მღვდელი კალისტრატე ხელაძისაგან შემდეგი წერილი: „მადლობას უცხადებ ჯიმშეთ გრიგოლის ძე ლომაძეს და ბართლომე ალექსის ძე კილაძეს, რომელთაც შემოსწირეს მამათის წმინდა იაკობ მოციქულის ეკლესიას შემდეგი ნივთები: ჯიმშეთ ლომაძემ ეკლესიაში დიდი ხომლი და ერთი წყვილი ტრაპაზზე დასადგმელი ახალი ვერცხლის შინდლები, სულ ღირებულები 25 მანეთად; ბართლომე კილაძემ ერთი სვეტისცხვილის ხატი „დიდება საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიის“, ღირებულები 1 მან. 50 კაპ. შემპირდა აგრეთვე ხატის ჩარჩოში ჩასმა, ორივემ ამით შეამკეს ეს ღირსება ... შემოწირულება ესე მოხდა „ამრგაველჯიმშეთ ლომაძემ ექვსი ამხანაგებით და ლუკა ჩხარტიშვილის თაოსნობით იმოგზაურა ამერიკაში და სხვა უცხო ქვეყნებში, წარმოდგენებში სათამაშოთ, წასვლის წინ მთხოვა წირვა და პარაკლისი მშვიდობიანი მოგზაურობისათვის. დიდად სასიამოვნოთ დავინახე, მაშინვე შეუერთლე წირვა და პარაკლისი, აღმითქვა როცა დაბრუნდებოდა ამერიკიდან, შემწირობას აღმოუჩინდა ეკლესიას და შეასრულა კიდევ აგრეთვე მადლობას ვუცხადებ ლუკა ჩხარტიშვილს, რომლის თაოსნობით ყოველწლივით მოგზაურობენ ამერიკაში. შეიძამდე

ყმაწვილი. წელსაც ემზადება წასასვლელად და აღმითქვა, ამერიკიდან მობრუნებისთანავე მოვავროვებ ამხანაგებში ას მანეთადე ფულად, ანუ ნივთიერად შესაწევნელად მამათის ეკლესიისათვის. ღმერთმა ჰქმნას, აღსრულდეს ეს, როგორც ჯიმშეთ ლომაძემ უტყუარად შეასრულა თავისი სიტყვა.“

ჯიმშეთ ლომაძის სახელს უკავშირდება აგრეთვე ურნალ „კვალში“ (1898 წელს 4) გამოქვეყნებული პუბლიკაცია: „ამერიკაში მოგზაურობა: „წ წელიწადი შესრულდა, რაც გურულებმა ამერიკის ქალაქ ნიუ-იორკში მოგზაურობა დაიწყეს, ისინი წელიწადში ერთხელ მოგზაურობენ და ამერიკაში რჩებიან 7 თვე, მარტიდან ოქტომბრამდე. პირველი ორი მოგზაურობის დროს მეთაურად იყო ივანე მახარაძე, შემდეგ ლუკა ჩხარტი-იშვილი. ამერიკაში გურულებთან ერთი ინგლისელი იყო, რომელმაც პირველად გამოიწყო ეს საქმე და რომელიც აძლევდა მათ პირობის ბარათს, ყოველი მოგზაურობის ბოლო დროს, ამ პირობის ძალით ცხენისანი და მოძველები გურულები ამერიკაში წაეყვანათ თითოეული მათგანისათვის ყოველ ხარჯ ვარეთ უნდა მიეცათ ათ თუმანამდე თვიურად, მეთაურნი უფრო მეტს იღებდნენ... ბევრ ახალგაზრდა გურულს აღძრა ამერიკაში წასვლის სურვილი. ამათთან უკან დაბრუნებულთა ნაამბობთან ამერიკის შესახებ უსაზღვრო აღტაცებაში მოიყვანა ახალგაზრდა გურულები და ამერიკაში წასვლის სურვილი გაუძლიერა... ვერ ვაკეთებდი კაცი თუ? აი, რა ოცნებამ შეიპყრო ისინი, ამის გამო მეთაურიც იმას წაიყვანდა ვინც მეტ საჩუქარს მიათმევდა. ლუკა ჩხარტიშვილმა მიიღო თუ

არა საჩუქრად კარგი თეთრი ცხენი, მაშინვე აღუთქვა პირობა ამერიკაში წასვლისა და კიდევ წაიყვანა ... პირველი მოგზაურობის დროსვე თავი იჩინა მტრობამ და შურმა. ამის გამო მეორე მოგზაურობაზე 2-3 კაცის ვარეთ თითქმის ყველა ახლები იყვნენ... მეორე მოგზაურობის დროს შურმა მაინც იჩინა თავი და ისეთი არეულობა იყო, რომ კინაღამ ამერიკაში დახოცეს ერთმანეთი ... ამერიკაში ვამგზავრების წინ, როცა ინგლისელის მოსვლა მანლოვებოდა, ატყვევებოდა მათ შორის ჩხუბი და ჩივილი, რომ ახნა-ირი საშუალებით დაერჩინათ ესა თუ ის და მის მაგივრად სხვა წაეყვანათ ანდა თითონ მეთაური გამოეცვალათ... უკანასკნელ მოგზაურობაზე ვთქვათ რამე... ახლა ჩხარტიშვილი მეთაურათ აღარ არის, თითოეულ გურულს საკუთარი აქვს ინგლისისაგან, ერთი იმათ შორის ჯიმშეთ ლომაძე ლევორველის ტყვიით ფეხში დაჭრილი იქნა, იმიტომ დაჭრენ, რომ ამერიკაში წასვლა დაეშალათ.“

ჯიმშეთ ლომაძე კარგი მოჯირითე ყოფილა, განსაკუთრებით აღნიშნავენ მის უნარს ისეთი იდეის შესრულებისა, როგორცაა გატყენებულ ცხენზე ორჯერ გარშემოვლა. იგი ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობდა მეწაღედ-გარდაიცვალა 1951 წელს.


გურულ მოჯირითეებს რომ ნიუ იორკში, ჩიკაგოში, ფილადელფიაში, კალიფორნიაში, ცინცინატიში, მექსიკოში, კანადაში და სხვაგან აღფრთოვანებული მაყურებელი ტაშს უკრავდა, იგი პირველ რიგში, ქართულ სინაუქეს ქართულ მოჯირითეებს ეკუთვნოდა, მაგრამ ამას ერთი საუკუნის შემდეგ გაიგებენ.

მანანა ლომაძე

ოზურგეთის საბუჩუქო გაერთიანების ფონდების მცველი.

სულთათნა

ჟანა სალუქვაძე



რად მივიჩნევ. თქვენი გაკეთილები გამოიჩინა განსხვავებული მეთოდური მდგომარეობით. ასრულებდით, ფიზიკა-მათემატიკა ესწავლა ყველას... დღეს ხომ ასე იმეათად ხდება... ათასს ვერსიას გამოიგონებენ ამ საგნების სირთულეები გამძაფრებულად რომ წარმოაჩინონ...

უკვალოდ არ ჩაუვლია თქვენს ნაღვას... ნაშრომი ბევრჯერ დაგიფასდათ ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისთვის, სახალხო განათლების წარჩინებული მასწავლებლის წოდება მოგანიჭეს. მიღებული გაქვთ მადლობის ბარათები და ქების სიგელები და, რაც მთავარია, სიყვარულის წილ სიყვარულიც ბევრჯერ მოიძიეთ.

ჩვენში გაზაფხული შემოვიდა და თქვენ მარადიულობაში ბიჯეთ...

გვეჩანებით, გვიყვარხართ, გემშვიდობებით, ქალბატონო ჟანა, ჟანა მასწავლებლო...

ბონკაშის საჯარო სკოლის კოლმეტივი საძმართმელოს აქმაზრობა და მცნებრთა თაჰისუჰალი პროჰკაჰშირის ოჰურბამთის რაიონული ორგანიზაცია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პედაგოგიურ საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული პედაგოგი გამოაკლდა.

გარდაიცვალა პროფესიაზე უნ-ომოდ შეყვარებული, უდიდესი პასუხისმგებლობისა და მაღალი ინტელექტის მქონე უნიჭიერესი და უსაყვარლესი ბონკაშის საჯარო სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებელი ქალბატონი ჟანა სალუქვაძე.

ექვსი ათეული წელი მითვალა თქვენმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ...

ექვსი ათეული წელი კრიალოსანივით ჩამოიმარცვლა და თაობებში ალაგარდნილი სანთელივით განათდა... ყოფილი მოსწავლეები დღესაც სულიერ მეგობ-

მალვინა სალუქვაძე



მალვინა სალუქვაძე დაიბადა 1848 წლის 16 ნოემბერს, მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო, სეუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1969 წელს.

1970 წელს მუშაობა დაიწყო ნარუჯის საბჭოთა მეურნეობის ბავშვთა ბაღში მუსიკის მასწავლებლად, ასევე რაიონულ კულტურის სახლში.

1984 წლის 1-ოქტომბრიდან იგი დაინიშნა ნარუჯის საჯარო სკოლაში თავისი სპეციალობის მიხედვით, სადაც მუშაობდა 2019 წლის ივლისამდე. ძნელა მასზე ისაუბრო წა-

რულში, სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად და პროფესიის უსაზღვრო სიყვარულით ეკადებოდა თავის საყვარელ საქმეს-მუსიკას, და ყოველ სადღესასწაულო დღეს, როგორც ადგილობრივ ისე რაიონულ ღონისძიებებს ალამაზებდა სასიამოვნო ხმითა და გემოვნებიანი სიმღერით.

მალვინა - მუდამ მომღიმარი, სათნო, კეთილი, უღალატო მეგობარი, მუდარეული კოლეგა ყოველი ნარუჯელის, ლიხაურელის, ოზურგეთელის საამყო პიროვნება.

მალვინა-როგორც კეთილშობილი ქალბატონი, მუდამ დარჩება მისი კოლეგების, აღზრდილების, ნაცნობ მეგობრების გულში.

იძინე მშვიდად. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი შშობლოური მიწა. უფალმა დაგიკვიდროს ცათა სასუფეველი

დაბა ნარუჯის საჯარო სკოლის კოლმეტივი საძმართმელოს აქმაზრობა და მცნებრთა თაჰისუჰალი პროჰკაჰშირის

ნანა ჯიბუბტი-ლომჯარიას ბახსენება



ცია აღარ არსებობს, ბევრი ჩვენი მეგობარი აღარ არის დარჩენილი ამქვეყნად. ახლახან ჩვენ საუკეთესო მეგობარი, ქალბატონი მერი მდივანიც გარდაიცვალა.

ძალიან გვტკივა უთქვენობა. განსაკუთრებული და მისაბაძი მეგობრობა იცოდით. მე ახლა ლოგინს მიჯაჭვული ვარ, მაგრამ არასოდეს დაგვაიწყებდა თქვენი თანადგომა ჩემი ოჯახისადმი. არ უწყურია დავიწყება თქვენს სახელს, დიდ ადამიანობას. მარად დარჩები ყველა შენი საყვარელი ადამიანის გულში.


შენი უახლოესი მეგობარი შუბუ დარჩია(მგებლაძე), თამაზ და მანანა, ბია და მანანა დარჩიების ოჯახი.

სულ ორი თვე გავიდა, რაც წახვედი სამუდამო სასუფეველში. დატოვე არაჩვეულებრივი ოჯახი: შვილი - გელა, რძალი - ნინო, შვილიშვილები - ანი და მარიამი.

მუშაობდი ქალაქკაჭრობის საზოგადოებრივი ინჟინერ-ტექნოლოგად, იყავი საუკეთესო მეგობარი, გამოირჩეოდი პროფესიონალიზმითა და კოლეგიალობით. დღეს ჩვენი ორგანიზა-

ცია გოგუაძის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბონკაშის საჯარო სკოლის მასწავლებლები, მოსწავლეები, ადმინისტრაციის წევრები, ტექნიკური პერსონალი თანაგრძნობენ სოფლი გირკელიძეს, დედის, ყოფილი მასწავლებლის, ღვაწლმოსილი პედაგოგის, სახალხო განათლების წარჩინებულის, ჟანა სალუქვაძის გარდაცვალების გამო.

სკანვორდი



Grid for a crossword puzzle with various words and clues. The grid is 15x15. Clues include: 'ქსოვილი', 'დღის ისტორიული მონაკვეთი', 'რძის ნაწარმი', 'იტალიელი მომღერალი ქალი', 'მდინარე ცომბირში', 'პაგარას ანტიპოლი', 'გამაფხულის ყვავილი', 'სამეურნალო წყალი', 'პორიშონგი', 'ღამხმარე ჯარი', 'სახეღარი, ჯორი', 'პორტუგალიური სუპერგარსკვლავი', 'მოლიდან გასული', 'ვერდის ოპერა', 'პოლიტიკოსი... კვიციანი', 'შხამიანი მწერი', 'ილია მოფერებით', 'გულის იმედიური დაბავლება', 'საკლესო წელთაღრიცხვის 15-წლიანი ცელი', 'გლოვა', 'უჯრა', 'ღელამამიშვილი', 'ღრუბლის ნაგლეჯი', 'გარაბუა', 'შინაური ფრინველი', 'მეველმანები გამყიდველი', 'ქართველი მოჭადრაკე ქალი', 'ნარჩენი ნივთები, საგნები', 'მეორე პირის ნაცვალსახელი', 'ჩიგი', 'ღიას', 'მუსიკალური ინსტრუმენტი'.


პასუხები:

პასუხები: 1- პოლიტიკოსი... კვიციანი; 2- შხამიანი მწერი; 3- ილია მოფერებით; 4- გულის იმედიური დაბავლება; 5- საკლესო წელთაღრიცხვის 15-წლიანი ცელი; 6- გლოვა; 7- უჯრა; 8- ღელამამიშვილი; 9- ღრუბლის ნაგლეჯი; 10- გარაბუა; 11- შინაური ფრინველი; 12- მეველმანები გამყიდველი; 13- ქართველი მოჭადრაკე ქალი; 14- ნარჩენი ნივთები, საგნები; 15- მეორე პირის ნაცვალსახელი; 16- ჩიგი; 17- ღიას; 18- მუსიკალური ინსტრუმენტი.

საქართველოს ტერიტორია და მოსახლეობა

(1897 წლის აღწერის მასალების მიხედვით)

იმაგდება მასალური უფლებები



საქართველოს ისტორიული ტერიტორია 1897 წლისათვის რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში თბილისის გუბერნიის, ქუთაისის გუბერნიასა და ყარსის ოლქს სახით იყო წარმოდგენილი (1878 წელს შექმნილი დამოუკიდებელი ადმინისტრაციული-პოლიტიკური ერთეული – ბათუმის ოლქი – 1883 წელს გაუქმდა და ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა. ბათუმის ოლქი 1903 წელს აღადგინეს). სანამ საქართველოს ტერიტორიისა და მოსახლეობის შესახებ ვისაუბრებდეთ, მოკლედ შევხებით რუსეთის იმპერიის ტერიტორიასა და მოსახლეობას.

1897 წლის 28 იანვრის რუსეთის იმპერიის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალების მიხედვით დგინდება, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დამდეგს იმპერიის მოსახლეობა სწრაფი ტემპით იზრდებოდა: 1858 წელს – 68.000.000 სული, 1897 წელს – 116.000.000 სული, 1914 წელს – 169.000.000 სული (ამ მონაცემებში გათვალისწინებული არ არის პოლონეთის სამეფოსა და ფინეთის დიდი სამთავროს მოსახლეობის რაოდენობა). XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის იმპერიის მოსახლეობის ზრდა ძირითადად მაღალი შობადობის ხარჯზე ხდებოდა, ხოლო 1850-1910 წლებში – სიკვდილიანობის შემცირების ხარჯზე. 1850-1910 წლებში, მართალია, შობადობა ყოველ 1.000 სულზე 52-დან 50 ახალშობილამდე შემცირდა, მაგრამ, ამავე დროს, მნიშვნელოვნად შემცირდა სიკვდილიანობაც – ყოველ 1.000 სულზე 39-დან 34 კაცამდე. საერთო ჯამში, 1900-1910 წლებში მოსახლეობა 1,4-ჯერ გაიზარდა.

მოსახლეობის ზრდა ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობაზეც აისახა. 1858 წელს ქალაქებში რუსეთის იმპერიის მთელი მოსახლეობის 9,2% ცხოვრობდა, 1897 წელს – 12,5%, 1914 წელს – 14,3%. რეალურად ქალაქის მოსახლეობა გაცილებით მეტი იყო, მაგრამ აღწერისას მას არ მიათვალეს დიდი დასახლებების მცხოვრებლები, რომელთაც ქალაქის სტატუსი არ ჰქონდათ: აზოვი (27.500 მცხოვრები), სერგეევ პოსადი (25.000 მცხოვრები), იუზოვკა (29.000 მცხოვრები), კრივიო როვი (18.000 მცხოვრები) და სხვ. 1897 წლის აღწერის მასალების მიხედვით, იმპერიაში რეგისტრირებული იყო 865 ქალაქი, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით ეს ციფრი 947-ს აღწევდა. 1863 წლისათვის

რუსეთის იმპერიაში 100.000 სულზე მეტი მცხოვრები იყო 3 ქალაქში, 1897 წელს ამ რაოდენობის მოსახლეობა უკვე 17 ქალაქში, ხოლო 1914 წელს 29 ქალაქში იყო აღრიცხული. 1914 წლისათვის რუსეთის იმპერიის 29 ქალაქში 9.400.000 სული ცხოვრობდა. ყველაზე მეტი მცხოვრები 1914 წელს აღრიცხული იყო სანკტ-პეტერბურგსა (2.300.000 სული) და მოსკოვში (1.600.000 სული). 1914 წლისათვის რუსეთის იმპერიის მოსახლეობის 80% სოფლად ცხოვრობდა.

XX საუკუნის დამდეგისათვის რუსეთის იმპერიაში დაახლოებით 200 სხვადასხვა ეროვნების ხალხი ცხოვრობდა, რომლებიც 146 ენასა და დიალექტზე საუბრობდნენ. მოსახლეობის უმრავლესობას სლაველები შეადგენდნენ, რომლებიც 16 ენასა და დიალექტზე მეტყველებდნენ. 1917 წლამდე ტერმინი „რუსი“ აღმოსავლეთ სლავეტს (რუსებს, უკრაინელებსა და ბელორუსებს) გულისხმობდა. 1897 წლის აღწერის მიხედვით, ველიკორუსები (55.400.000 სული) მთელი მოსახლეობის 47,8%-ს შეადგენდნენ, მალოროსები (22.000.000 სული) – 19%-ს, ბელოროსები (5.900.000 სული) – 6,1%-ს. ერთად აღებული ველიკოროსები (რუსები), მალოროსები (უკრაინელები) და ბელოროსები (ბელორუსები) რუსეთის იმპერიის მოსახლეობის უმეტესობას – 83.300.000 სულს, ანუ მთელი მოსახლეობის 71,9%-ს – შეადგენდნენ. რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების გარდა, რუსეთის იმპერიაში სხვა სლავეტებიც ცხოვრობდნენ: სერბები, ბულგარელები და სხვ. სლავეტების შემდეგ იმპერიის ტერიტორიაზე ყველაზე დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ თურქულენოვანი ხალხები – ყაზახები (4.000.000 სული) და თათრები (3.700.000 სული). რუსეთში ძალზე მრავალრიცხოვანი იყო ებრაული დიასპორა – 3.800.000 სული, ანუ მთელი მოსახლეობის 3,3% (კიდევ 2.000.000 ებრაელი პოლონეთის სამეფოს ტერიტორიაზე ცხოვრობდა). გარდა ზემოთ აღნიშნულისა, იმპერიის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ: ლატივები (1.400.000 სული), გერმანელები (1.400.000 სული), მოლდაველები (1.200.000 სული), სომხები (1.200.000 სული), მორდველები (1.000.000 სული), ესტონელები (1.000.000 სული). 1897 წლის 28 იანვრის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ანკეტაში გრაფა ეროვნება არ ყოფილა, სამაგიეროდ, იყო გრაფა

მშობლიური ენა. ამის გამო, ცხადია, ზუსტად არ დგინდება რამდენი ქართველი ცხოვრობდა საქართველოს იმ ისტორიულ ტერიტორიაზე, რომელიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა – თბილისის გუბერნიაში, ქუთაისის გუბერნიასა და ყარსის ოლქში. სხვადასხვა მონაცემის შეჯერების შედეგად უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ სამი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე დაახლოებით 1.000.000 – 1.200.000 ქართველი ცხოვრობდა. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ამ დროისათვის ქართველთა რაოდენობა შეიძლება მეტიც ყოფილიყო.

1897 წელს რუსეთის იმპერიის მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობა ასეთი იყო: მართლმადიდებლები – 87.100.000 სული (მთელი მოსახლეობის 76%), მუსლიმები – 13.900.000 სული (11,9%), იუდეველები – 3.600.000 სული (3,1%), კათოლიკეები – 1.500.000 სული (1,2%), პროტესტანტები – 2.400.000 სული (2%). გარდა ამისა, რუსეთის იმპერიაში არსებობდა სხვადასხვა სექტა.

თბილისის გუბერნიის ტერიტორია და მოსახლეობა

1. ტერიტორია. მოსახლეობის საერთო რაოდენობა და სექსობრივი თანაფარდობა. 1897 წლის 28 იანვრის რუსეთის იმპერიის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით, თბილისის გუბერნიის მოსახლეობა 1.051.032 სულს უდრიდა (575.447 სული მამრობითი სქესისა, 475.585 სული მდედრობითი სქესისა). გუბერნიის ტერიტორია, შიდა წყლებს ფართობის ჩათვლევად, 39.122 კვადრატულ კერსს უდრიდა და 9 მაზრასა და 1 ოკრუგს შორის იყო განაწილებული:

- 1. თბილისის მაზრა** (ცენტრი ქალაქი თბილისი);
 - 2. ახალციხის მაზრა** (ცენტრი ქალაქი ახალციხე);
 - 3. ახალქალაქის მაზრა** (ცენტრი ქალაქი ახალქალაქი);
 - 4. ბორჩალოს მაზრა** (ცენტრი სოფელი შულავერი);
 - 5. გორის მაზრა** (ცენტრი ქალაქი გორი);
 - 6. დუშეთის მაზრა** (ცენტრი ქალაქი დუშეთი);
 - 7. თიანეთის მაზრა** (ცენტრი სოფელი თიანეთი);
 - 8. თელავის მაზრა** (ცენტრი ქალაქი თელავი);
 - 9. სიღნაღის მაზრა** (ცენტრი ქალაქი სიღნაღი);
 - 10. ზაქათალის ოკრუგი** (ცენტრი ქალაქი ზაქათალა).
ოსებით დასახლებული შიდა ქართლის ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილი – ისტორიული დვალეთი – 1897 წლისათვის თბილისის გუბერნიის გორის მაზრას აღარ ეკუთვნოდა, იგი თერგის ოლქის ვლადიკავკაზის ოკრუგში შედიოდა.
- თბილისის გუბერნიის მოსახლეობის 21,4% (224.796 სული) ქალაქში ცხოვრობდა, 78,6% (826.236 სული) – სოფლად. ქალაქებში მოსახლეობა ასე იყო განაწილებული:

- 3. თელავი** – 13.929 სული;
 - 4. გორი** – 10.269 სული;
 - 5. ახალქალაქი** – 5.400 სული;
 - 6. დუშეთი** – 2.560 სული;
 - 7. სიღნაღი** – 8.994 სული;
 - 8. ზაქათალა** – 3.390 სული;
- ამრიგად, თბილისის გუბერნიის ქალაქებიდან ყველაზე მეტი მოსახლეობა თბილისში ცხოვრობდა (159.590 სული), შემდეგ მოდიოდა ახალციხე (15.357 სული), თელავი (13.929 სული) და გორი (10.269 სული).**
- 1. თბილისის მაზრა:** ტერიტორია – 3.688,4 კვადრატული კერსი; მოსახლეობა – 234.632 სული (137.849 სული მამრობითი სქესისა, 96.783 სული მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ კერსზე – 63,71 სული; დროებით მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 7.398 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 10.371 სული.
 - მაზრის ცენტრის, თბილისის, მოსახლეობა, როგორც აღვნიშნეთ, 159.500 სულს შეადგენდა (95.240 სული მამრობითი სქესისა, 64.350 მდედრობითი სქესისა); ქალაქში დროებით ცხოვრობდა: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 3.548 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 9.242 სული.**
 - 2. ახალქალაქის მაზრა:** ტერიტორია – 2.368,6 კვადრატული კერსი; მოსახლეობა – 72.709 სული (37.907 სული მამრობითი სქესისა, 34.806 სული მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ კერსზე – 30,69 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 1.001 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 396 სული;
 - 3. ახალციხის მაზრა:** ტერიტორია – 2.225,6 კვადრატული კერსი; მოსახლეობა – 68.837 სული (36.807 სული მამრობითი სქესისა, 32.030 სული მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ კერსზე – 30,46 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 743 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 402 სული;
 - 4. ბორჩალოს მაზრა:** ტერიტორია – 5.938,5 კვადრატული კერსი; მოსახლეობა – 128.587 სული (70.501 სული მამრობითი სქესისა, 58.086 სული მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ კერსზე – 21,65 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 7.802 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 3.349 სული;
 - 5. გორის მაზრა:** ტერიტორია – 6.033,9 კვადრატული კერსი; მოსახლეობა – 191.091 სული (102.837 სული მამრობითი სქესისა, 88.254 სული მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ კერსზე – 31,67 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 1.990 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 576 სული;
 - 6. დუშეთის მაზრა:** ტერიტორია – 3.437,9 კვადრატული კერსი;

- 7. სიღნაღის მაზრა:** ტერიტორია – 4.620,0 კვადრატული კერსი; მოსახლეობა – 102.313 სული (55.958 სული მამრობითი სქესისა, 46.355 სული მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ კერსზე – 22,15 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 5.413 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 88 სული;
 - 8. თელავის მაზრა:** ტერიტორია – 2.974,5 კვადრატული კერსი; მოსახლეობა – 66.767 სული (35.895 სული მამრობითი სქესისა, 30.872 სული მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ კერსზე – 22,44 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 146 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 26 სული;
 - 9. თიანეთის მაზრა:** ტერიტორია – 4.256,3 კვადრატული კერსი; მოსახლეობა – 34.153 სული (16.431 სული მამრობითი სქესისა, 17.722 სული მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ კერსზე – 8,02 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 494 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 12 სული;
 - 10. ზაქათალის ოკრუგი:** ტერიტორია – 3.544,3 კვადრატული კერსი; მოსახლეობა – 84.224 სული (45.418 სული მამრობითი სქესისა, 38.806 სული მდედრობითი სქესისა); მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვადრატულ კერსზე – 23,76 სული; დროებითი მცხოვრები: რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი – 2.313 სული, უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომი – 77 სული.
- 2. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა.** 1897 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის დროს, როგორც აღვნიშნეთ, ანკეტაში გრაფა ეროვნება არ ყოფილა შეტანილი. მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის განსაზღვრისათვის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს ანკეტების გრაფიდან – **მშობლიური ენა** – ამოკრეფილი მასალა. ცხადია, ეს მასალა ზუსტ სურათს ვერ იძლევა, შეუძლებელი ხდება ცდომილების დადგენა.
- თბილისის გუბერნიაში ქართული მშობლიურ ენად (დედაენად) მიიჩნია 165.737 სულმა, სომხური ენა – 19.618 სულმა, თათრული ენა – 107.338 სულმა, რუსული ენა – 85.772 სულმა, ოსური ენა – 67.263 სულმა, ჩრდილო კავკასიური ენები – 34.130 სულმა, დანარჩენი ენები – 94.753 სულმა.
- (გაგრძელება იქნება)**
მასთანვე გურული
(„საქართველოს ახალი ისტორია 1801-1918“ წიგნი 3. გვ.11-16)

"ბორჯღალოსნებმა" კორტუბალია დაამარცხა და პაღამდე გასლა ჩემპიონი

7 მარტს, პარიზის "ჟან ბუანზეს" სტადიონზე 2020 წლის რაგბი ევროპის ჩემპიონატის მეოთხე ტურში საქართველოს ნაკრებმა ლიგაში დაბრუნებულ პორტუგალიას 39:24 სძლია.

მივევთ თანმიმდევრობით: მატჩი საქართველოს ნაკრების იერიშით დაიწყო და შალვა მამუკაშვილის ლელოთი და სოსო მათიაშვილის გარდასახვით დასრულდა. თუმცა, მეტოქემ მალევე გაათანაბრა ანგარიში. მე-10 წუთზე ბექა გორგაძემ ჩვენი გუნდი ლელოთი ისევ წინ გაიყვანა, მათიაშვილმა კი გარდასახვა ვერ გამოიყენა. 24-ე წუთზე საქართველოს ნაკრებმა შეტევაში ბურთი დაკარგა, სწრაფი კოტრიერიში პორტუგალიამ ლელოთი და გარდასახვით დაასრულა და 14:12 დაწინაურდა. 30-ე წუთზე მათ ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ, მაგრამ ანტუნეშმა 45 მეტრიდან შესრულებული ჯარიმა გააცუდა.

35-ე წუთზე დათო კაჭარავამ ლელო გაიტანა, ხოლო მათიაშვილმა გარდასახვა ზუსტად ვერ შეასრულა. ბოლოს დამიწებისას ბექა სალინაძეს ბურთი დაუვარდა და პირველი ტაიმი დასრულდა - 17:14.

მეორე ტაიმი საქართველოს ნაკრების მორიგი შეცდომით დაიწყო და მოწინააღმდეგე გატანილი ლელოთი და ზუსტად შესრულებული გარდასახვით ისევ წინ გაიჭრა, შემდეგ კი ზედიზედ ორი საჯარიმო ვერ გამოიყენეს.

58-ე წუთზე სალინაძემ ლელო დალო, გელა აფრასიძემ რთული პოზიციიდან ბურთი ძელს გაარტყა და 22:21. მეორე პორტუგალია ზუს-



ტად შესრულებული საჯარიმოთი ისევ დაწინაურდა. ამას "ბორჯღალოსნების" იერიში და საჯარიმო ლელო მოჰყვა. ცოტა ხანში დემე თაფლაძემ ლელო გაიტანა, აფრასიძემ კი გარდასახვა ვერ გამოიყენა.

შეხვედრის დასრულებამდე 10 წუთით ადრე მათიაშვილმა ლელო გაიტანა, ხოლო შეცვლაზე შესულმა თედო აბუხანდაძემ გარდასახვა გააცუდა - 39:24.

საქართველოს ნაკრებმა ტურნირი ვადაძლე მოიგო და 14 მარტს რუსეთს უმასპინძლებს.

საპარტიველო

საზი: 15. სოსო მათიაშვილი (ლელო-სარასენს), 14. დემე თაფლაძე (ლელო-სარასენს), 13. დავით კაჭარავა (ენისეი), 12. ლაშა მალალურაძე (ვევია), 11. ალექსანდრე თოდუა (ბათუმი), 10. ლაშა ხმალაძე (ბათუმი), 9. გიორგი ბეგაძე (ჯიქი) შერეკინება: 1. გიორგი თეთრაშვილი (აჟენი), 2. შალვა

მამუკაშვილი (ყოჩები), 3. ლევან ჩილაჩავა (მონპელიე), 4. ლაშა ჯაიანი (ექსეტერის უნივერსიტეტი), 5. დავით გიგაური (კოლომიე), 6. ბექა სალინაძე (ორაკი), 7. გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი), 8. ბექა გორგაძე (ბორდო, კაპ.).

მარქაფა: 16. გიორგი ჭყობიძე (ლოკომოტივი პენზა), 17. გურამ გოგინაშვილი (რასინგ 92), 18. გიორგი მელიქიძე (სტად ფრანსე), 19. შალვა სუთიაშვილი (ანგულემ), 20. თორნიკე ჯალაღონია (ბიარიცი), 21. გელა აფრასიძე (მონპელიე), 22. თედო აბუხანდაძე (ბრივი), 23. ლაშა ლომიძე (აია)

7 ლელო: მამუკაშვილი, გორგაძე, კაჭარავა, სალინაძე, საჯარიმო, თაფლაძე, მათიაშვილი

1 გარდასახვა: მათიაშვილი
სხვა შეხვედრები:
რუსეთი - რუმინეთი 32:25
ბელგია - ესპანეთი 23:30

გადაწყვეტილება მიღებულია: უეფამ ორივე პრესტიჟული ტურნირი შეაჩერა!

13 მარტს მიღებული გადაწყვეტილებით, უეფამ ჩემპიონთა ლიგისა და ევროპა ლიგის მომავალ კვირაში გასამართი მატჩები გადალო.

აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება 17-18 მარტს ჩემპიონთა ლიგისა და 19 მარტს ევროპა ლიგის 1/8-ფინალურ მატჩებს, ასევე, უეფას ახლგაზრდული ლიგის თამაშებს.

აქედან გამომდინარე, ამ ტურნირების 1/4-ფინალური ეტაპის კენჭისყრა გადაიდო.

მოგესვენებთ, უეფამ 17 მარტს სპეციალური შეხვედრა ჩანიშნა, რომელშიც მონაწილეობას ევროპის ყველა ქვეყნის ეროვნული საფეხბურთო ფედერაციების წარმომადგენლები, ევროპული კლუბების ასოციაცია და პროფესიონალი ფეხბურთელების მსოფლიო ასოციაცია მიიღებს. ქუიპე-ის ინფორმაციით, 2020 წელს გასამართ ევროპის ჩემპიონატს 2021 წელს გადაიტანენ.



ვერცხლი და ორი ბრინჯაო გურჯაანიდან



ქალაქ გურჯაანში უმცროსი ჯაბუკთა შორის ბერძნულ - რომაულ ჭიდაობაში საქართველოს პირველობა ჩატარდა.

შეჯიბრზე წარმატებით იასპარეზეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებულმა ჭიდაობის სექციის სპორტსმენებმა.

ასპარეზობიდან ამჯერად ოზურგეთელებმა ერთი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს წამოღება შესძლეს. პირველობაზე საბა ცისკარიძემ - (62 კგ) მეორე ადგილი, საბა სირაძემ - (75 კგ.) და ლუკა ფიფიამ (38 კგ.) კი მესამე ადგილი დაიკავეს.

საქართველოს პრიზიორები ასპარეზობისათვის მწვრთნელებმა - ძმებმა ზურაბიანებმა, კობა ბალაივი-ნოვინოვმა, ლაშა გუგუაბიძემ და კახაბერ აბაშიძემ მოამზადეს.

საპარტიველო-რუსეთის სარაგბო მატჩი გადაიდო!

ძვირფასო მეგობრებო! ევროპაში კორონავირუსის (COVID-19) ეპიდემიის გავრცელების გამო, ევროპული რაგბის მმართველმა ორგანიზაცია "რაგბი ევროპამ" მიიღო გადაწყვეტილება, რომ რაგბი ევროპის ჩემპიონატი, ასევე, მის მიერ ორგანიზებული ყველა ტურნირი შეჩერდეს მინიმუმ 15 აპრილამდე. შესაბამისად, რაგბი ევროპის ჩემპიონატის მე-5 ტურის შეხვედრა საქართველოსა და რუსეთის ნაკრებებს შორის 14 მარტს აღარ გაიმართება. მატჩის ჩატარების ახალი თარიღი ჯერჯერობით უცნობია და მას დადგენისთანავე გაცნობებთ.



| | | | | | | | | | | | | | |
|----|--|----------|---|---|---|---|--------|----|---|---|---|---|---|
| 1. | | Georgia | 4 | 4 | 0 | 0 | 181:53 | 19 | ? | W | W | W | W |
| 2. | | Portugal | 4 | 2 | 0 | 2 | 87:86 | 9 | ? | L | L | W | W |
| 3. | | Spain | 4 | 2 | 0 | 2 | 78:82 | 9 | ? | W | L | L | W |
| 4. | | Russia | 4 | 2 | 0 | 2 | 75:112 | 8 | ? | W | W | L | L |
| 5. | | Belgium | 4 | 1 | 0 | 3 | 84:143 | 7 | ? | L | L | W | L |
| 6. | | Romania | 4 | 1 | 0 | 3 | 73:102 | 5 | ? | L | W | L | L |

7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | | | | | | | | |
|----------|----------------------|----------|------------------------|----------|----------------------|----------|-----------------------------|----------|--------------------------|----------|------------------------------|----------|-------------------------------|
| | წვიმა 0 +6 | | ღრუბელი 0 +4 | | წვიმა +2+5 | | მზე, ღრუბელი +4+7 | | ღრუბელი +7 +11 | | მზე, ღრუბელი +6+13 | | მზე, ღრუბელი +7 +13 |
| 16 მარტი | ორშაბათი | 17 მარტი | სამშაბათი | 18 მარტი | ოთხშაბათი | 19 მარტი | ხუთშაბათი | 20 მარტი | პარასკევი | 21 მარტი | შაბათი | 22 მარტი | კვირა |